# ხელშეკრულება საქონლის შესყიდვის შესახებ № 483

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 26.06 ქ. თბილისში
და მოქმედებს ა/წ 30 ივლისამდე.

„ერთის მხრივ, შპს „დელტა ინტერნეიშენალ“ , რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, მნათობის № 73, წარმოდგენილი მისი დირექტორის ოთარ ჩიტეიშვილის სახით (სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE 22, ა/ა GE78TB7447436040100001) (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „საჩუქრები-95”, მისი დირექტორის სერგო გეგეჭკორის სახით (ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №26, სს საქართველოს ბანკი, კოდი BAGAGE22, ა/ა GE84BG0000000346237500, საიდენტიფიკაციო კოდი 203826654) (შემდგომში მიმწოდებელი) ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ქვემოთ მითითებული სასაჩუქრე საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხანჯალი მელქიორის დაფაზე | ცალი | 1 | 95 ლ | 95 ლ |
| 2 | ხანჯალი-მელქიორის, დაფაზე სადაფით | ცალი | 1 | 145 ლ | 145 ლ |
| 3 | ჩანთა სასაჩუქრე | ცალი | 2 | 4 | 8 ლ |
| სულ | | | | | 248 ლ |

## 2. ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს:

**248 (ორასორმოცდარვა) ლარს.**

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებელის ყველა ხარჯებს დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადებს.

2.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## 3. ხარისხი:

3.1. საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

## 4. მიწოდების ვადა, წესი და ადგილი:

4.1. საქონლის მოწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი ა/წ 30 ივლისამდე მიმწოდებლის იურიდიულ მისამართზე.

4.2. საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.

4.4. მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ საქონლის გადაცემისთანავე აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი შემსყიდველი უფლებამოსილია წარუდგინოს მიმწოდებელს დასაბუთებული რეკლამაცია, რის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 დღის განმავლობაში ან გამოცვალოს წუნდებული საქონელი ან ამავე ვადებში დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

4.5. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასათანადოდ შეფუთული, ან არასრული მოცულობით წარმოდგენილი თანხლები დოკუმენტაციის მქონე საქონლის მიღებაზე.

4.6. საქონლის გადაცემამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო გადაცემის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

4.7. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

4.8. საქონლის მიღება-ჩაბარება ხდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

## 5. ანგარიშსწორების წესი:

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება შესაბამისი სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან ერთი კვირის განმავლობაში უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში.

## 6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა:

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.
6.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.
7.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ბიუჯეტის სეკვესტრით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8. სხვა პირობები:

8.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ.
8.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.
8.3. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
8.4. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
8.5 წინამდებარე ხელშეკრულება დაბეჭდილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო მეორე მიმწოდებელს.

შემსყიდველი

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“
დირექტორი

ოთარ ჩიტეიშვილი

მიმწოდებელი

შპს „საჩუქრები-95”-ს
დირექტორი

სერგო გეგეჭკორი

# მიღება-ჩაბარების აქტი №

ქ. თბილისი

01.07 2015წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთი შპს „დელტა ინტერნეიშენალ“-ის დირექტორი ოთარ ჩიტეიშვილი და მეორე მხრივ შპს „საჩუქრები-95”, მისი დირექტორი სერგო გეგეჭკორი თანახმად ა/წ 26.06 დადებული № _____ ხელშეკრულებისა, ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ შპს „საჩუქრები-95”-იმ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიაწოდა შემსყიდველს ქვემოთ მითითებული სასაჩუქრე საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

| № | დასახელება | განზ.ერთ | რაოდენობა | ერთ.ფასი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხანჯალი მელქიორის დაფაზე | ცალი | 1 | 95.00 | 95.00 |
| 2 | ხანჯალი-მელქიორის, დაფაზე სადაფით | ცალი | 1 | 145.00 | 145.00 |
| 3 | ჩანთა სასაჩუქრე | ცალი | 2 | 4 | 8.00 |
| სულ | | | | | 248 |

მიწოდებული საქონლის ღირებულებაა 248.00 ლარი.
ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 248.00ლარი.

რაზედაც ხელს ვაწერთ:

დირექტორი

დთარ ჩიტეიშვილი

შპს „საჩუქრები-95"-ს
დირექტორი

სერგო გეგეჭკორი